

ზ. სიღამონიძე, გ. სუპატაშვილი, ს. ალაშია

# ქიმიის მოკლე ცნობარი

განმომცემლობა „განათლება“

თბილისი — 1978

•4 (083)

ს 477

C  $\frac{00001 - 009}{M-602(08)-76}$  272-76

© გამომცემლობა „განათლება“, 1976

## წინასიტყვაობა

„ქიმიის მოკლე ცნობარი“, რომელიც ქართულ ენაზე პირველად გამოდის, შეიცავს ქიმიის სხვადასხვა დარგის, აგრეთვე ჰიდროქიმიისა და გეოქიმიის ზოგიერთ ფაქტობრივ მონაცემს.

წიგნში მნიშვნელოვანი ადგილი ეთმობა ატომისა და მოლეკულის აგებულების, მენდელეევის პერიოდულობის სისტემის, ქიმიური ბმების შესახებ მასალას. საჭიროდ ვცანით ცნობარში შეგვეტანა მოკლე ცნობები ქიმიური ელემენტების აღმოჩენისა და სახელწოდებების შესახებაც. განვიხილეთ არაორგანული და ორგანული ნაერთების ნომენკლატურის საკითხები და მათი ფიზიკურ-ქიმიური თვისებები (ლღობისა და დუღილის ტემპერატურა, ხსნადობა და სხვ.); მოკლედ შევხებით პოლიმერული მასალების ფიზიკურ-ქიმიურ და მექანიკურ თვისებებს.

წიგნი შეიცავს მნიშვნელოვან ცნობებს ქიმიური ანალიზის შესახებ. ანალიზის კლასიკური მეთოდების გარდა, წარმოვადგინეთ ალის ფოტომეტრიისა და სხვა მონაცემები.

ცნობარში მოკლედაა აღწერილი ლაბორატორიული ტექნიკა და მოცემულია ზოგიერთი საჭირო რეცეპტი და პრაქტიკული რჩევა.

ცალკეულ თავში მასალა ძირითადად განლაგებულია ქიმიური ნაერთების სახელწოდებების ანდა ელემენტთა სიმბოლოების ანბანის მიხედვით.

წიგნის მოცულობის შეზღუდულობის გამო ამომწურავად ვერ გავაშუქეთ ქიმიის ზოგიერთი დარგის ყველა საკითხი.

წიგნის უმეტეს ცხრილებში მოტანილი სიდიდეების განზომილებები ლაბორატორიულ პრაქტიკაში ფართოდ შემორჩენილ გამზომ ხელსაწყო-აპარატურაზე მოცემულ სკალებს—ძველი სისტემების ერთეულებს(მაგალითად, მოცულობა ლიტრობით, ტემპერატურა °C-ობით, წნევა ვერცხლისწყლის სვეტის მმ-ით და სხვ.) შეესაბამება. ამის გამო წიგნის დასაწყისში განსაკუთრებული ყურადღება მივაქციეთ ამ სიდიდეების SI ერთეულებში გადაყვანას.

ცნობარი განკუთვნილია ქიმიის ფაქულტეტის სტუდენტების, კვლევით ლაბორატორიებში მომუშავე ქიმიკოსების, საშუალო სკოლის ქიმიის მასწავლებელთათვის და სხვ. ის გამოადგება აგრეთვე ქიმიის მონათესავე დარგების (ფიზიკის, ბიოლოგიის, მედიცინისა და სხვ.) სპეციალისტებს.

1. ქიმიური ელემენტები, ატომები, მოლეკულები

1. ელემენტების აღმოჩენა და სახელწოდება

№1 — H — წყალბადი (ლათ. Hydrogenium) 1766 წელს ჰ. კევენ-დიშმა მიიღო განზავებულ მკაეებში; ლათონების გახსნით. 1873 წელს ა. ლავუაზიემ საფუძვლიანად შეისწავლა ის და წყლის წარმოქმნელი, წყალბადი (ფრანგ. hydrogène) უწოდა.

№2 — He — ჰელიუმი (ლათ. Helium). 1868 წელს ჟ. ჟანსენმა და ნ. ლოკაიერმა მზის სპექტრში შენიშნეს ნატრიუმის სპექტრული ხაზებისაგან განსხვავებული ყვითელი ხაზები. სეკიმ გამოთქვა მოსაზრება, რომ ისინი ახალი ქიმიური ელემენტების შესაბამისი ხაზებია. ლოკაიერმა და ფრანკლანდმა ამ ელემენტს ჰელიუმი (ბერძ. ἥλιος — მზე) უწოდეს. რამდენიმე ხნის შემდეგ რამზაიმ და კრუქსმა ჰელიუმი მინერალ კლვეეიტში აღმოაჩინეს.

№3—Li—ლითიუმი (ლათ. Lithium). 1817 წელს ლითიუმის შემკველი ნაერთები მიიღო ბერცელიუსის მოწაფემ ა. არფვედსონმა, 1818 წელს ის ლათონის სახით გამოყო ჰ. დევიმ. ელემენტის სახელწოდება წარმოდგება ბერძნული სატყვიდან λιθός (ქვა).

№4—Be — ბერილიუმი (ლათ. Beryllium) 1798 წელს აღმოაჩინა ლ. ვოკელენმა მინერალ ბერილში. ლათონის სახით ის 1828 წელს ფ. ველერმა მიიღო. საფრანგეთში მას Glucinium-ს (სიმბოლო Gl) უწოდებენ.

№5 —B—ბორი (ლათ. Borum). ელემენტური ბორი პირველად 1808 წელს მიიღეს გეი-ლუსაკმა და ტენარმა. სახელწოდება წარმოდგება მისი ნაერთის სახელწოდებიდან Borax (ბორაკი).

№6—C — ნახშირბადი (ლათ. Carboneum). მისი ნაერთები ცნობილია უძველესი დროიდან. ნახშირბადი ინდივიდუალური ელემენტის სახით პირველად ა. ლავუაზიემ განიხილა. სიმბოლო წარმოიშვა მისი ლათინური სახელწოდებიდან Carbo (ნახშირი).

№7—N — აზოტი (ლათ. Nitrogenium) დ. რუტერფორდმა აღმოაჩინა 1772წელს. „აზოტი“ (αζωτ) ძველ ბერძნულ ენაზე ნიშნავს უსიცოცხლოს. ლათინური სახელწოდება მიუთითებს მისგან გარჩილის მიღების შესაძლებლობაზე.

№8—O — **ჟანგბადი** (ლათ. Oxygenium) თავისუფალი სახით გამოკვეთეს 1769—1771 წლებში კ. შველემ, 1774 წელს კი — ჯ. პრისტლიმ. არსებობს ცნობები, რომ ჟანგბადი ჰერ კიდევ XVII საუკუნის დასაწყისში მიიღო კ. დრებელმა. ლაუუაზიემ დაადგინა მჟავების უმეტესობაში ჟანგბადის შემცველობა და მას მჟავას წარმომქმნელი, მჟავამბადი (ფრანგ. Oxygène) უწოდა.

№9—F — **ფთორი** (ლათ. Fluorum) 1886 წელს მიიღო ჯა. მუასანმა. ამ ელემენტის ნაერთს კალციუმთან (მინერალ მლღობ შპატს) მეტალურგიაში იყენებენ ფლუხად, მლღობად. აქედან აწარმოეს სახელწოდება ფლუორი (ლათ. fluo — დენადი), სახელწოდება ფთორი კი წარმოდგება ბერძნული სიტყვიდან φθορος (დანგრევა).

№10—Ne — **ნეონი** (ლათ. Neon) 1898 წელს ჰაერიდან გამოკვეთეს რამზაიმ და ტრავერსმა. სახელწოდება წარმოდგება ბერძნულიდან νεὶδ (ახალი).

№11—Na — **ნატრიუმი** (ლათ. Natrium). ლითონური ნატრიუმი 1807 წელს ელექტროლიზით მიიღო ჰ. დევიმ, ძველად სოდას წყალმცენარეების ნატრიდან ღებულობდნენ; აქედან შეიქმნა ამ ელემენტის სახელწოდებაც (natron — წყალმცენარეების ნატარი).

№12 — **მაგნიუმი** (ლათ. Magnesium). 1808 წელს ჰ. დევიმ ძველი საბერძნეთის მაგნეზიის რაიონში ნაპოვნი თეთრი მინერალიდან (მაგნეზიური ქვიდან) გამოყო ახალი ელემენტი და მას ამ რაიონის სახელწოდება შეარქვა.

№13—Al — **ალუმინი** (ლათ. Aluminium). ლითონური ალუმინი პირველად გამოყო 1825 წელს ჰ. ერსტედმა. ზოგიერთ ლატერატურულ წყაროში მის ავტორად ველერს აღიარებენ. სახელწოდება „ალუმ“ წარმოდგება იმ შაბის სახელწოდებიდან, რომლიდანაც ეს ელემენტი მიიღეს.

№14—Si — **სილიციუმი** (ლათ. Silicium) 1882—1883 წლებში მიიღო ბერცელიუსმა. მისი სახელწოდება წარმოდგება ლათინური სიტყვიდან silics (კაჟი).

№15—P — **ფოსფორი** (ლათ. Phosphorus) 1669 წელს აღმოაჩინა ელქიმეოსმა ხ. ბრანდტმა. ნათების უნარის გამო ამ ელემენტს ფოსფორი (ბერძ. φῶς ფῶρα — სინათლის მტარებელი) უწოდეს.

№16—S — **გოგირდი** (ლათ. Sulfur) ცნობილია წინანსტორიული დროიდან. მისი სიმბოლო ლათინური სახელწოდების მიხედვით შეარჩიეს.

№17—Cl — **ქლორი** (ლათ. Chlorum) 1774 წელს აღმოაჩინა კ. შველემ და დამახასიათებელი მწვანე-ყვითელი ფერის გამო გეი-ლუსაკის წინადადებით ქლორი უწოდა (ბერძ. χλωρος — მწვანე-ყვითელი).

№18—Ar — **არგონი** (ლათ. Argon) 1894 წელს ერთმანეთისაგან

დამოუკიდებლად ჰაერიდან გამოყვეს უ. რამზაიმ და დ. რელიემ. სახელწოდება წარმოდგება ბერძნული სიტყვიდან  $\alpha\rho\gamma\omicron\varsigma$  (ზარმაცი, უმოქმედო). ინგლისურ და ფრანგულ ლიტერატურაში არგონი აღინიშნება A სიმბოლოთი.

№19—K — კალიუმი (ლათ. Kalium) 1758 წელს ალის შეფერვის მიხედვით შენიშნა მარკგრაფმა. 1807 წელს დევიმ ლითონური კალიუმი გამოყო ელექტროლიზის საშუალებით. სახელწოდება წარმოდგება არაბული სიტყვიდან „ალკალი“ (ზღვის მცენარეების ნაცარი — ტუტე).

№20 — Ca — კალციუმი (ლათ. Calcium). ლითონური კალციუმი 1808 წელს მიიღო ჰ. დევიმ. სახელწოდება წარმოდგება ლათინურიდან (calx — კირა ან კალციუმის ქანგი).

№21 — Sc — სკანდიუმი (ლათ. Scandium) 1879 წელს აღმოაჩინა ნილსონმა შვედური წარმოშობის მინერალებში; სახელწოდება სკანდინავიის სახელწოდების მიხედვით შეურჩიეს. 1871 წელს დ. მენდელეევი იწინასწარმეტყველა ამ ელემენტის არსებობა და თვისებები (ეკაბორი).

№22 — Ti — ტიტანი (ლათ. Titanium) 1795 წელს აღმოაჩინა მ. კლაპროტმა. მისი სახელწოდება წარმოდგება ბერძნული მითების გმირის — დედამიწის ვაჟის — ტიტანის სახელიდან.

№23 — V — ვანადიუმი (ლათ. Vanadium) 1801 წელს აღმოაჩინა ანდრე დელ-რიომ და ერიტრონიუმი უწოდა. 1830 წელს შვედმა სეფსტრემ აღმოაჩინა ახალი ელემენტი, რომელსაც სილამაზისა და სიყვარულის ქალღმერთის — ვანადისის სახელის მიხედვით ვანადიუმი უწოდა. 1831 წელს ფ. ველერმა დაამტკიცა ერიტრონიუმისა და ვანადიუმის იგივეობა.

№24 — Cr — ქრომი (ლათ. Chromium) 1797 წელს აღმოაჩინა ლ. ვოკალენმა ციმბირში ნაპოვნ ერთ-ერთ მინერალში. ამ ელემენტის ნაერთებს მეტად სპეციფიკური ფერი აქვთ. ლ. ვოკალენმა ელემენტის სახელწოდება ამ ნიშნის მიხედვით (ბერძ. χρᾶμα — ფერი, შეფერილობა) შეარჩია.

№25 — Mn — მანგანუმი (ლათ. Manganum) ცნობილია უძველესი დროიდან. მას იყენებდნენ კერამიკისა და მინის წარმოებაში. 1774 წელს ის მიიღეს კ. შველემ და ჰანმა რკინასთან შენადნობის სახით. სახელწოდება წარმოდგება იტალიური სიტყვიდან manganese (დამახინჯებული ლათინური სიტყვა manganisus — მაგნიუმი).

№26 — Fe — რკინა (ლათ. Ferrum) ცნობილია წინაისტორიული დროიდან. სიმბოლო წარმოდგება რკინის ძველი რომანული სახელწოდებიდან (ferrum).

№27 — Co — კობალტი (ლათ. Cobaltum). უძველეს დროში ჩინეთსა და ეგვიპტეში მის ნაერთებს საღებავად იყენებდნენ. ის თავისუფალი

სახით 1733—1735 წლებში გამოყო გ. ბრანდტმა. სახელწოდება წარმოდგა გერმანული სიტყვიდან Kobold (მიწისქვეშა ავი სული). მადანი, რომელიც ამ ელემენტს შეიცავდა, სხვა ლითონური მადნებისაგან განსხვავებით, ჩვეულებრივი დამუშავებისას ლითონს არ იძლეოდა. მის ასეთ თვისებას ძველი დროის გერმანელი მეტალურგები ავ სულელებს მიაწერდნენ.

№28 — Ni — ნიკელი (ლათ. Niccolum) 1751 წელს აღმოაჩინა ა. კრონშტედმა. სახელწოდება წარმოდგა გერმანული სიტყვიდან Kupfernickel (ეშმაკის სპილენძი, უვარგისი, ჯადოსნური სპილენძი). ასე უწოდებდნენ სპილენძის მადნის მსგავს მინერალს, რომლისგანაც სპილენძის გამოდნობას ვერ ახერხებდნენ.

№29 — Cu — სპილენძი (ლათ. Cuprum) ცნობილია უძველესი დროიდან. ლათინური სახელწოდება წარმოდგება კუნძულ კვიპროსის სახელწოდებიდან, სადაც ძველი ბერძნები სპილენძით მდიდარ საბადოებს ამუშავებდნენ.

№ 30 — Zn — თუთია (ლათ. Zincum) ცნობილია XVII საუკუნიდან. მისი სიმბოლო წარმოდგება გერმანული სახელწოდებიდან (Zinken).

№31—Ga — გალიუმი (ლათ. Gallium) 1875 წელს საფრანგეთის საბადოების თუთიის მადანში სპექტრული მეთოდით აღმოაჩინა პ. ლეკოკ დე ბუაბოდრანმა და თავისი სამშობლოს სახელწოდების მიხედვით (ლათ. Gallia — საფრანგეთის ძველი სახელწოდება) გალიუმი უწოდა. 1871 წელს დ. მენდელეევი იწინასწარმეტყველა გალიუმის არსებობა (ეკალუმინი).

№32—Ge — გერმანიუმი (ლათ. Germanium) 1886 წელს აღმოაჩინეს კლემენსმა და ვინკლერმა. სახელწოდება წარმოდგება გერმანული სახელწოდებიდან. 1871 წელს მისი არსებობა და თვისებები იწინასწარმეტყველა დ. მენდელეევი (ეკასილიციუმი).

№ 33—As — დარიშხანი (ლათ. Arsenicum). ლითონური დარიშხანის მიღება პირველად აღწერა ალბერტ მაგნუსმა (XIII ს.). ზოგიერთ წყაროში ავტორად ა. ბოლდეტია (1250 წ.) დასახელებული. დარიშხანის სახელწოდება arsenicum დაკავშირებულია მის ძლიერ მომწამლავ თვისებებთან. ბერძნ. ἀρσενικόν (ἀρσην — ძლიერი, მამაცი, მამაკაცი).

№34—Se — სელენი (ლათ. Selenium) 1817 წელს აღმოაჩინა ბერკელიუსმა. ტელურთან (ბერძნ. tellus — დედამიწა) მსგავსების გამო ამ ელემენტს სელენი (ბერძნ. σελήνη — მთვარე) უწოდეს.

№35—Br — ბრომი (ლათ. Bromum) 1826 წელს ა. ბალარმა ზღვის მარილის დამზადებისას მიიღო და მკვეთრი სუნის გამო მას მყრალი (ბერძნ. βράμιον) უწოდა. ბალარს ამ ელემენტის აღმოჩენამდე მეცნიერული წრეები არ იცნობდნენ; შემდეგში ენამწარობდნენ: ბალარმა ბრომი აღმოაჩინა, ბრომი კი ბალარიო.

№36—Kr — კრიპტონი (ლათ. Krypton) 1897—1898 წწ. მიიღეს უ. რამზაიმ და მ. ტრავერსმა. სახელწოდება წარმოდგება ბერძნული სიტყვიდან (κρυπτος — ფარული).

№37—Rb — რუბიდიუმი (ლათ. Rubidium) 1861 წელს სპექტრული მეთოდით აღმოაჩინეს რ. ბუნზენმა და გ. კირხჰოფმა. მის სპექტრში წითელი ხაზების არსებობის გამო ელემენტს წითელი (ლათ. rubidus) უწოდეს.

№38—Sr — სტრონციუმი (ლათ. Strontium). 1790 წელს კროუფორდმა სტრონციანში (შოტლანდიის ერთ-ერთი რაიონი) ნაპოვნო მინერალიდან გამოყო ამ ელემენტის შემცველი ნაერთი. სახელწოდება მიაკუთვნეს ამ მინერალის პოვნის ადგილის მახლობელი 1808 წელს ჰ. დევიმ მიიღო ლითონური სტრონციუმი.

№39—Yt — იტრიუმი (ლათ. Yttrium ) 1828 წელს მინარევებთან ერთად გამოყო ფ. ველერმა, სუფთა სახით კი — 1843 წელს მოხანდერმა. სახელწოდება შეურჩიეს ამ ელემენტის შემცველი მინერალის — იტერბიტის მიხედვით.

№40—Zr — ცირკონიუმი (ლათ. Zirconium) 1789 წელს აღმოაჩინა მ. კლარკმა. სახელწოდება წარმოდგება სპარსულიდან (Zargun — ოქროს ქვა). ლითონური ცირკონიუმი გამოყვეს 1824 წელს.

№41—Nb — ნიობიუმი (ლათ. Niobium). 1801 წელს ჩრდილო ამერიკული წარმოშობის მინერალიდან ჩ. გეტჩეტმა გამოყო უცნობი ლითონის უნაგეული. ელემენტს მინერალის სამშობლოს სახელწოდების მიხედვით კოლუმბიუმი უწოდეს. დიდი ხნის განმავლობაში ამ ელემენტს ვერ არჩევდნენ ტანტალისაგან, შემდეგში კი ახალ ელემენტად აღიარეს და ბერძნული მითოლოგიის მიხედვით ტანტალის შვილის ნიობის სახელი უწოდეს. ძველ სახელწოდება კოლუმბიუმს (Cb) ზოგჯერ კიდევ ხმარობენ ამერიკულსა და ინგლისურ ლიტერატურაში.

№42—Mo — მოლიბდენი (ლათ. Molybdaenum). ლითონური მოლიბდენი პირველად მიიღო გელმემ (1782 წ.). უფრო ადრე (1778 წ.) კ. შველემ მიიღო  $M_2O_3$ . მოლიბდენი აღმოაჩინეს მადანში, რომელსაც ადრე ტყვიის მადნად მიიჩნევდნენ. აქედან წარმოდგება მისი სახელწოდებაც (ბერძნ. μολυβδης — ტყვია).

№43—Tc — ტექნეციუმი (ლათ. Technetium) სინთეზებული იყო 1937 წ. კ. პერეისა და ე. სეგრეს მიერ. ის იყო ბირთვული რეაქციის შედეგად ხელოვნური გზით მიღებული პირველი ელემენტი. აქედან წარმოდგა მისი სახელწოდებაც (ბერძნ. τεχνητος — ხელოვნური). ჯერ კიდევ 1871 წელს დ. მენდელეევი იწინასწარმეტყველა ამ ელემენტის თვისებები (ეკამანგანუმი).

№44—Ru — რუთენიუმი (ლათ. Ruthenium) 1844 წელს აღმოაჩინა რუსმა ქიმიკოსმა კ. კლაუსმა. სახელწოდება აღმოჩენის ადგილის (ლათ. Ruthenia — რუსეთი) მიხედვით შეურჩიეს.



№45—Rh — როდიუმი (ლათ. Rhodium) 1803 წელს აღმოაჩინა ვოლასტონმა. მისი ზოგიერთი მარილი ვარდისფერია, აქედან შეიქმნა ელემენტის სახელწოდებაც (ბერძნ. ρόδιον — ვარდისფერი, ვარდი).

№46—Pd — პალადიუმი (ლათ. Palladium) 1803 წელს აღმოაჩინა ვოლასტონმა და იმ ხანებში (1801 წ.) შენიშნული ასტეროიდ პალადის (პალასის) სახელი უწოდა.

№47—Ag — ვერცხლი (ლათ. Argentum) ცნობილია უძველესი დროიდან. მისი სიმბოლო წარმოდგება ვერცხლის რომანული სახელწოდებიდან. სანსკრიტულში arganta ნიშნავს თეთრს, ნათელს.

№48—Cd — კადმიუმი (ლათ. Cadmium) 1817 წელს აღმოაჩინა ფ. შტრომეიერმა. კადმიუმი ხშირად გვხვდება თუთიის ქანგში, რომელსაც ძველი ბერძნები კადმიუმის სახელწოდებით იცნობდნენ.

№49—In — ინდიუმი (ლათ. Indium) 1863 წელს სპექტრული მეთოდით აღმოაჩინეს ფ. რაიხმა და ტ. რიხტერმა, სახელწოდება კი ინდიგოს (ლურჯი) ფერის სპექტრის ხაზების მიხედვით შეურჩიეს.

№50—Sn — კალა (ლათ. Stannum) ცნობილია წინაისტორიული დროიდან. ლათინური სახელწოდება წარმოიშვა სანსკრიტულიდან (stha — მყარი, მდგრადი).

№51 — Sb — სტიბიუმი (ლათ. Stibium) ცნობილია უძველესი დროიდან. სიმბოლო წარმოდგება მისი ძველი ლათინური სახელწოდებიდან.

№52—Te — ტელური (ლათ. Tellurium) 1782 წელს აღმოაჩინა მიულერ ფონ რეიხენშტეინმა; სახელწოდება მიანიჭეს დედამიწის სახელწოდების მიხედვით (ლათ. tellurus, tellus — დედამიწა).

№53—I — იოდი (ლათ. Iodum) 1811 წელს ზღვის მცენარეების ნაცრისაგან დამზადებული ნივთიერებიდან გამოყო ბ. კურტუამ, სახელწოდება კი გეი-ლუსაკმა შეარჩია ორთქლის ფერის მიხედვით (ბერძ. ἰοειδής — იისფერი).

№54—Xe — ქსენონი (ლათ. Xenon) 1898 წელს გამოყვეს ჰაერიდან უ. რამზაიმ და მ. ტრავერსმა. სახელწოდება წარმოდგება ბერძნული სიტყვიდან (ξένος — უცნობი, უცხო).

№55—Cs — ცეზიუმი (ლათ. Caesium) 1860 წელს სპექტრული მეთოდით აღმოაჩინეს რ. ბუნზენმა და გ. კირხჰოფმა. იგი იდენტიფიცირებულ იყო ცისფერი სპექტრული ხაზების მიხედვით, ამიტომ ცეზიუმი (ლათ. Caesius — ცისფერი) უწოდეს.

№56—Ba — ბარიუმი (ლათ. Barium). მისი ნაერთი 1774 წელს აღმოაჩინა კ. შველემ. ლითონური ბარიუმი 1808 წელს მიიღეს. სახელწოდება (ბერძნულად βάρειον — მძიმე) ამ ელემენტის შემცველი მინერალი ბარიტის, მძიმე შპატის სახელწოდების მიხედვით შეარჩიეს.

№57—La — ლანთანი (ლან. Lanthanum) 1839 წელს აღმოაჩინა მოზანდერმა. თვისებითი რეაქციის უქონლობისა და იდენტიფიკაციის

სირთულის გამო ელემენტს ლანთანი (ბერძნ. λαανθάνειν — ფარულად ყოფნა, მალვა) უწოდეს.

№58—Ce — ცერიუმი (ლათ. Cerium) 1803 წელს ერთმანეთისაგან დამოუკიდებლად აღმოაჩინეს კლაპროტმა, ბერცელიუსმა და გიზენგერმა. სახელწოდება შეარჩიეს იმ ხანებში (1801 წ.) აღმოჩენილი მცირე პლანეტა ასტეროიდის ცერერის სახელწოდების მიხედვით. სუფთა სახით ლითონი ელექტროლიზური გზით მიიღეს 1875 წელს ჰილბერანდმა და ნორტონმა.

№59—Pr — პრაზოდმიმი (ლათ. Praseodymium) 1885 წელს აღმოაჩინა აუერ ფონ ველსბახმა. სახელწოდება წარმოდგება ბერძნული სიტყვებიდან παραστος (მწვანე) და δινύμος (ტყუპები); ამ ელემენტის სპექტრული ზოლები მწვანე ფერისაა და ზოგჯერ მათ ნეოდიმ მისაგან ვერ არჩევენ.

№60—Nd — ნეოდმიმი (ლათ. Neodymium) 1885 წელს აღმოაჩინა აუერ ფონ ველსბახმა. სახელწოდება წარმოდგება ბერძნული სიტყვებიდან: νεος — ახალი და δινύμος — ტყუპი (ასე უწოდეს სხვა იშვიათ მიწა ელემენტებთან მსგავსების გამო).

№61—Pm — პრომეთიუმი (ლათ. Promethium) 1947 წელს მიიღეს ჯ. მარინსკიმ, ლ. გლენდენიზმა და ჩ. კორიელმა. ამ ელემენტს უწოდეს იმ გმირი ტიტანის სახელი, რომელმაც ღმერთებს ცეცხლი მოსტაცა და ადამიანებს მიუტანა.

№62—Sm — სამარიუმი (ლათ. Samarium) 1879 წელს სპექტრული მეთოდით აღმოაჩინა ლეკოკ დე ბუაბოდრანმა რუსი სამთო ინჟინრის ვ. სამარსკის მიერ ურალზე ნაპოვნ მინერალში — სამარსკიტში. აქედან წარმოდგა თვით ელემენტის სახელწოდებაც.

№63—Eu — ევროპიუმი (ლათ. Europium) სპექტრული მეთოდით აღმოაჩინა ფრანგმა დემერსემ და 1901 წელს ევროპის კონტინენტის სახელწოდების მიხედვით ევროპიუმი უწოდა. უფრო ადრე იგი შეინიშნეს კრუკსმა და ლეკოკ დე ბუაბოდრანმა.

№64—Ga — გადოლინიუმი (ლათ. Gadolinium) 1879—1880 წლებში ჯერ მარინიაკმა. შემდეგ კი ლეკოკ დე ბუაბოდრანმა აღმოაჩინეს ამ ელემენტის შემცველი ნაერთები. წმინდა სახით ელემენტი 1896 წელს მიიღეს. სახელწოდება შეარჩიეს იტრიუმისა და სხვა იშვიათი მიწის ელემენტების შემცველი მინერალის აღმოჩენის — ფინელი ქიმიკოსის იოჰან გადოლინის პატივსაცემად.

№65—Tb — ტერბიუმი (ლათ. Terbium) 1843 წელს მოზანდერმა გამოყო შვეციის ქალაქ იტერბთან ნაპოვნი მინერალიდან (აქედან წარმოდგება ამ ელემენტის სახელწოდება).

№66—Dy — დისპროზიუმი (ლათ. Dysprosium) 1885—1886 წლებში აღმოაჩინა ლეკოკ დე ბუაბოდრანმა. სხვა თანმდევი ელემენტებისა-

გან გამოყოფის სირთულის გამო მას უწოდეს ურჩი, ძნელად მისაწვდომი (ბერძ. *δυσπρσιτος*).

№67—Ho — ჰოლმიუმი (ლათ. Holmium) 1878—1879 წწ. აღმოაჩინა პ. კლევემ. მას სახელწოდება შეურჩიეს შვეციის დედაქალაქ სტოკ-ჰოლმის ლათინური სახელწოდების (Holmia) მიხედვით.

№68—Er — ერბიუმი (ლათ. Erbium) 1843 წელს მოზანდერმა, 1878 წელს კი მარინიაკმა გამოყვეს მინერალ ვადოლინიტიდან. სახელწოდება ამ მინერალის პოვნის ადგილის — შვეციის ქ. იტერბის სახელწოდების მიხედვით შეარჩიეს (აქედანვე შეიქმნა ორი ელემენტის: იტერბიუმისა და ერბიუმის სახელწოდებები).

№69—Tm — თულიუმი (ლათ. Thulium) 1879 წ. აღმოაჩინა კლევემ; სახელწოდება შეარჩიეს სკანდინავიის სახელწოდების მიხედვით (Thule — ძველ დროში ასე იცნობდნენ ევროპის ჩრდილოეთს: ნორვეგიას, შვეციას, ისლანდიას).

№70—Yb — იტერბიუმი (ლათ. Ytterbium) 1878 წელს მარინიაკმა გამოყო შვეციის ქ. იტერბის მახლობლად ნაპოვნი მინერალიდან; სახელწოდება მინერალის პოვნის ადგილის მიხედვით შეარჩიეს.

№71—Lu — ლუტეციუმი (ლათ. Lutetium) 1907 წელს აღმოაჩინა აუერ-ფონ-ველსბახმა. იმავე წელს იგი აღმოაჩინა ფრანგმა მეცნიერმა ურბენმა, რომელმაც თავისი მშობლიური ქალაქის სახელწოდების მიხედვით ელემენტს ლუტეციუმი (Lutetia — პარიზის ძველი ლათინური სახელწოდება) უწოდა. ზოგიერთ ქვეყანაში ამ ელემენტს კასიოპიუმის სახელწოდებით იცნობენ.

№72—Hf — ჰაფნიუმი (ლათ. Hafnium). ეს ელემენტი 1923 წელს აღმოაჩინეს პ. ჰევეშმა და ფ. კოსტერმა და მას ქალაქ კოპენჰაგენის ძველი სახელწოდების (Hafnia) მიხედვით ჰაფნიუმი უწოდეს. მას საფრანგეთში კელტიუმს უწოდებენ.

№73—Ta — ტანტალუმი (ლათ. Tantalum) 1802 წელს აღმოაჩინა ა. ეკაბერგმა. მეცნიერებს ძალიან გაუჭირდათ ამ ელემენტის გამოყოფა თავისუფალი სახით, ამიტომ მას ბერძნული მითოლოგიის მიხედვით ზევსის შვილის ტანტალის სახელი უწოდეს; მითიდან ვიცით, რომ ტანტალი ღმერთებმა დასაჯეს: წყალში ჩააყენეს და სამარადისო წყურვილი, ტანჯვა მიუსაჯეს.

№74—W — ვოლფრამი (ლათ. Wolfram) 1781 წელს მინერალ ტუნგსტეინიდან გამოყო კ. შეელემ. ამ ელემენტს ამერიკასა და ინგლისში შერჩა სახელწოდება tungsten (მძიმე ქვა) საფრანგეთში — tungstène. სახელწოდება ვოლფრამი შეარჩია აგრიკოლამ (გერმ. Wolf — მგელი, rahn — ქაფი).

№75—Rc — რენიუმი (ლათ. Rhenium) 1925 წელს აღმოაჩინეს ცოლ-ქმარმა ნოდაკებმა. სახელწოდება მდინარე რენის (ლათ. Rhenus) სახელწოდების მიხედვითაა შერჩეული.

№76—Os — ოსმიუმი (ლათ. Osmium). ეს ელემენტი 1804 წელს აღმოაჩინა ს. ტენანტმა და მისი ანჰიდრიდის დამახასიათებელი სუნის გამო ოსმიუმი (ლათ. osmie — სუნი) უწოდა.

№77—Ir — ირიდიუმი (ლათ. Iridium) 1804 წელს აღმოაჩინა ს. ტენანტმა. ამ ელემენტს მისი ნაირფერი მარილების გამო უწოდეს iris (ბერძნ.) — ცისარტყელა.

№78—Pt — პლატინა (ლათ. Platinum) ლიტერატურულ წყაროებში XVI საუკუნიდანაა მოხსენიებული. მისი სახელწოდება ვერცხლის სახელწოდების (ესპანურად plata) კინობითი ფორმიდან წარმოდგება.

№79—Au — ოქრო (ლათ. Aurum) ცნობილია წინაისტორიული დროიდან. სიმბოლო მიღებულია ოქროის ძველი რომანული სახელწოდებიდან. ზოგიერთი წყაროს მიხედვით, ამ ელემენტის სახელწოდება ლათინურიდან (aurora — ცისკარი) წარმოდგება.

№80—Hg — ვერცხლისწყალი (ლათ. Hydrargyrum) ცნობილია წინაისტორიული დროიდან. სახელწოდება წარმოდგა ბერძნული სიტყვიდან υδρα — წყალი და ἀργυρός — ვერცხლი.

№81—Tl — თალიუმი (ლათ. Thallium) 1861 წელს სპექტრული მეთოდით აღმოაჩინა უ. კრუქსმა. მის სპექტრს ახასიათებს მკვეთრი ოია მწვანე ხაზები, სახელწოდებაც აქედან წარმოიშვა (ბერძნ. θάλλω — მწვანე ტოტი).

№82—Pb — ტყვია (ლათ. Plumbum) ცნობილია უძველესი დროიდან.

№83—Bi — ბისმუთი (ლათ. Bismuth) ცნობილი იყო ჯერ კიდევ XIV საუკუნეში, 1450 წელს კი ის აღწერა ვასილ ვალენტინმა. სახელწოდების წარმოქმნას უკავშირებენ weisse materia (თეთრი ნივთიერება) სიტყვებს.

№84—Po — პოლონიუმი (ლათ. Polonium). რადიქტიური ელემენტი პოლონიუმი პირველად 1898 წელს აღმოაჩინეს პიერ და მარი კიურებმა. მ. კიურის სამშობლოს — პოლონეთის სახელწოდების მიხედვით ელემენტს პოლონიუმი უწოდეს.

№86—At — ასტატინი (ლათ. Astatine) სინთეზის გზით მიიღეს 1940 წელს ე. სეგრემ, დ. კორსონმა და უ. მაკენზიმ მაღალი ენერგიის α-ნაწილაკებით ბისმუთის დასხივებისას. სახელწოდება ἀστατός (არამდგრადი) ბერძნულიდან შეუტრჩიეს.

№85—Rn — რადონი (ლათ. Radon). ამ ელემენტის არსებობაზე 1900 წელს მიუთითა ე. რეზერფორდმა. 1908 წელს რადიუმიან ამბულაში არსებულ აირების ნარევი შეინიშნეს ამ ელემენტის შესაბამისი სპექტრული ხაზები. სახელწოდება ასე წარმოიშვა: რადიუმის სახელწოდებას დაუმატეს ინერტული აირების აღსანიშნავად გამოყენებული სუფიქსი „ონ“. ამ ელემენტს 1923 წლამდე ზოგჯერ რადიუმის ემანაციას უწოდებდნენ (Em). ინგლისურ ლიტერატურაში გვხვდება აგრეთვე სახელწოდება Niton — მოელვარე (Nt).

№87—Fr — ფრანციუმი (ლათ. Francium) 1939 წელს აღმოაჩინა ფრანგმა მეკვლევარმა ქალმა მ. პერიემ, რომლის სამშობლოს მიხედვით შეურჩიეს ამ ელემენტს სახელწოდება.

№88—Ra — რადიუმი (ლათ. Radium) 1898 წ. აღმოაჩინეს პიერ კიურიმ, მარი კიურიმ და ე. ბემონმა. ელემენტმა ეს სახელწოდება რადი-აქტიური გამოსხივების უნარის გამო მიიღო (ლათ. radius — სხივი).

№89—Ac — აქტინიუმი (ლათ. Actinium) 1899 წელს ა. დობიერნიმ ურანის მადნის გადამუშავების ნარჩენებში აღმოაჩინა. ეს სახელწოდება მას გამოსხივების უნარის გამო შეურჩიეს (ბერძნ. ἄκτις — სხივი, გამოსხივება).

№90—Th — თორიუმი (ლათ. Thorium) 1828 წელს აღმოაჩინა ბერ-ცელიუსმა. ელემენტს ასე უწოდეს სკანდინავიის ქვეყნების ჰეჰა-ქუხი-ლისა და ომის ღმერთის — თორის სახელის მიხედვით.

№91—Pa — პროტაქტინიუმი (ლათ. Protactinium) 1918 წელს აღმო-აჩინეს ო. ჰანმა და ლ. მეიტნერმა. მისი სახელწოდება სიტყვა *παρά*-დან (პირველი) აწარმოეს.

№92—U — ურანი (ლათ. Uranium) 1789 წელს აღმოაჩინა მ. კლაპ-როტმა. ელემენტს მიანიჭეს იმ ხანებში აღმოჩენილი პლანეტა—ურანის სახელწოდება.

№93—Np — ნეპტუნიუმი (ლათ. Neptunium). 1936 წელს ამ ელ-ემენტს მიაკვლიეს ო. ჰანმა და ლ. მეიტნერმა, მაგრამ მისი იდენტიფიცი-რება ვერ შეძლეს. 1940 წელს ე. მაკმილანმა და ფ. ეიბელსონმა მიიღეს იგი და ნეპტუნი უწოდეს (მზის სისტემაში პლანეტა ურანს უკან სდევს ნეპტუნი. მენდელეევის ელემენტთა პერიოდულუბის სისტემაშიც ურანის მომდევნო ელემენტს ნეპტუნიუმი უწოდეს).

№94—Pu — პლუტონიუმი (ლათ. Plutonium) 1940 წელს მიიღეს სიბორგმა, მაკმილანმა, ეუოლიმ და კენედიმ, და მას პლანეტა პლუტონის (ეს პლანეტა ნეპტუნის მომდევნოა) სახელი უწოდეს.

№95—Am — ამერიციუმი (ლათ. Americium) პირველად მიიღეს 1944 წელს სიბორგმა, ჯეიმსმა, მორგანმა და გიორსომ, ლანთანიდ ევრო-პიუმთან მსგავსების გამო სახელწოდებაც ანალოგიურად შეურჩიეს აღმოჩენის ადგილის — ამერიკის მიხედვით.

№96—Cm — კიურიუმი (ლათ. Curium) სინთეზის გზით მიიღეს 1944 წელს გ. სიბორგმა, რ. ჯეიმსმა და ა. გიორსომ, ეს სახელწოდება კი მარი კიურისა და პიერ კიურის პატივსაცემად მიაკუთვნეს.

№97—Bk — ბერკლიუმი (ლათ. Berkelium) სინთეზის გზით 1949 წელს მიიღეს ტომპსონმა, გიორსომ და სიბორგმა კალიფორნიის უნივერ-სიტეტის ციკლოტრონზე ქ. ბერკლში (აქედან წარმოდგება ელემენტის სახელწოდება).

№98—Cf — კალიფორნიუმი (ლათ. Californium) 1950 წელს მიიღეს

ს. ტომპსონმა, ა. გიორსომ, კ. სტრიტმა და გ. სიბორგმა კალიფორნიის უნივერსიტეტის ციკლოტრონზე; ელემენტის სახელწოდება შეარჩიეს მისი აღმოჩენის ადგილის (კალიფორნიის შტატის) მიხედვით.

№99  $\text{Ei}$  — ეინშტეინიუმი (ლათ. Einsteinium). ეს ელემენტი 1952 წელს მიიღეს ამერიკელმა მეცნიერებმა და დიდი ფიზიკოსის ალბერტ ეინშტეინის პატივსაცემად ეინშტეინიუმი უწოდეს.

№100— $\text{Fm}$  — ფერმიუმი (ლათ. Fermium) 1953 წელს აღმოაჩინეს ამერიკელმა მეცნიერებმა; ეს სახელწოდება გამოჩენილი იტალიელი ფიზიკოსის ენრიკო ფერმის პატივსაცემად მიაკუთვნეს.

№ 101 —  $\text{Md}$  — მენდელეევიუმი (ლათ. Mendeleevium). 1955 წ. სიბორგმა, ჰარვეიმ, ტომპსონმა, ჩოპინიმ და გიორსომ პირველად მიიღეს ამ ელემენტის 17 ატომი. დიდი რუსი ქიმიკოსის დიმიტრი ივანეს ძემენდელეევის პატივსაცემად ამ ელემენტს მენდელეევიუმი უწოდეს.

№102— $\text{No}$  — ნობელიუმი (ლათ. Nobelium). 1957 წელს ქ. სტოკჰოლმში, ნობელის ინსტიტუტში მომუშავე ინგლისელი, შვედი და ამერიკელი მეცნიერების ჯგუფმა ოფიციალურად გამოაცხადა მათ მიერ სინთეზის გზით №102 ელემენტის მიღების შესახებ. ახალ ელემენტს ცნობილი შვედი მეცნიერისა და ინჟინრის ა. ნობელის პატივსაცემად ნობელიუმი უწოდეს. 1958 წელს ბერკლის უნივერსიტეტში (აშშ) უკეთეს პირობებში ჩატარებულმა ექსპერიმენტმა აღწერილი გზით №102 ელემენტის სინთეზი არ დაადასტურა. შემდეგში გამოქვეყნდა ამერიკელი (საბჭოთა კავშირის მეცნიერებათა აკადემიის უცხოელი წევრის გ. სიბორგისა და სხვების) და საბჭოთა მეცნიერების (აკად. გ. ფლეროვისა და მისი თანამშრომლების) შრომები, რომლებშიც აღწერილი იყო №102 ელემენტის სხვადასხვა იზოტოპის მიღება. 1964 წელს ქ. ღუბნაში გამართულ ფიზიკოსთა საერთაშორისო კონფერენციაზე აკად. გ. ფლეროვმა საფუძვლიანად გაარჩია ყველა შრომა, მათ შორის თავისი შრომებიც №102 ელემენტის სინთეზის შესახებ და საექვოდ ცნო ამ ელემენტის სინთეზის რეალობა. როგორც ფიზიკოსები ენამწარობენ, ამ კონფერენციის შედეგად ელემენტ ნობელიუმიდან უჯრედს შერჩა მხოლოდ სიმბოლო „No“ (ინგლისური „არა“.)

№102 ელემენტის იზოტოპები (252-დან 256-მდე მასური რიცხვით, 4,5 წმ-დან 3 წთ-მდე ნახევრად დაშლის პერიოდით) სინთეზის გზით მიიღეს 1964—1966 წლებში გ. ფლეროვის ხელმძღვანელობით ქ. ღუბნაში. ელემენტისათვის სახელწოდების მინიჭების უფლება, მისი „მონათვლა“ ავტორის უფლებებში შედის, ამიტომ პრესის წარმომადგენლებთან საუბარში გ. ფლეროვმა განაცხადა, რომ მოსალოდნელია №102 ელემენტს მან უწოდოს ჟოლიო (ცნობილი ფრანგი ფიზიკოსისა და კომუნისტის ფრედერიკ ჟოლიო-კიურის პატივსაცემად).

№103— $\text{Lr(Lw)}$  — ლოურენსიუმი (ლათ. Lourensium) 1961 წელს

ა. გიორსომ და მისმა თანამშრომლებმა (აშშ) გამოაცხადეს № 103 (M-257) ელემენტის სინთეზის შესახებ. ელემენტს სახელწოდება მიაკუთვნეს პირველი ამაჩქარებლისა და ციკლოტრონის ავტორის, ნობელის პრემიის ლაურეატის (1939 წ.), კალიფორნიის რადიაციული ლაბორატორიის დამაარსებლის ე. ლოურენსის პატივსაცემად.

მომდევნო წლებში ექსპერიმენტის განმეორებამ შედეგი არ დაადასტურა. 1965 წელს დუბნაში აკად. გ. ფლეროვის ხელმძღვანელობით მიიღეს ახალი, №103 ელემენტის იზოტოპი (M-256). საბჭოთა მეცნიერის წინადადებაა მას ცნობილი ფიზიკოსის რეზერფორდის სახელი ეწოდოს.

№104—Ku — კურჩატოვიუმი (ლათ. Kurtchatovium) 1964 წელს სინთეზის გზით მიიღეს საბჭოთა კავშირში, ქ. დუბნაში, სოციალისტური შრომის გმირის, აკად. გ. ფლეროვის ხელმძღვანელობით. ამავე ლაბორატორიაში 1967 წელს ახალი მეტად მახვილგონიერი, ზესწრაფი მეთოდით განახორციელეს ამ ელემენტის ქიმიური იდენტიფიკაცია (ელემენტის ნახევრად დაშლის პერიოდი ~0,3წმ-ია). ელემენტის მიღებას საფუძვლად უყვეს შემდეგი ბირთვული რეაქცია:  $_{84}^{242}\text{Pu} + {}_{10}^{22}\text{Ne} = {}_{94}^{260}\text{Ku} + 4\text{n}$ . ახალი ელემენტის (ეკაპაფნიუმის) თითოეული ატომის წარმოქმნას სჭირდება პლუტონიუმის სამიზნეს ექვსსაათიანი დაყუბმარება 115 MeV ენერგიის  $\text{Ne}^{22}$  ატომებით; სულ 150 ატომის მიღებას 1 000 საათზე მეტი ხანგრძლივობის ექსპერიმენტი დასჭირდა. საბჭოთა კავშირში ატომური კვლევის ერთ-ერთი ორგანიზატორის, სამგზის სოციალისტური შრომის გმირის, აკადემიკოს იგორ ვასილის ძე კურჩატოვის პატივსაცემად ახალ ელემენტს კურჩატოვიუმი (სიმბოლო Ku) უწოდეს. 1968 წლის აგვისტოში წმინდა და გამოყენებითი ქიმიის საერთაშორისო კავშირის სანომენკლატურო კომისიამ ეს სახელწოდება დაამტკიცა. საბჭოთა მეცნიერების გ. ფლეროვის, ვ. დრუინის, ს. პოლიკანოვისა და ჩეხი მეცნიერის ი. ზვარას ეს მნიშვნელოვანი წარმატება ლენინური პრემიით აღინიშნა.

№105—1968 წელს აკად. გ. ფლეროვის ლაბორატორიამ გამოაქვეყნა ცნობა №105 ელემენტის აღმოჩენის შესახებ. 1971 წლის მონაცემების მიხედვით ამ ელემენტის იზოტოპების (M-260, M-261) სინთეზის სინამდვილე ეჭვს არ იწვევს. საბჭოთა ფიზიკოსების წინადადებაა მას ცნობილი დანიელი ფიზიკოსის ნილს ბორის პატივსაცემად ნილსბორიუმი (Ns) ეწოდოს.

№106—1974 წლის ივლისში დუბნაში სინთეზირებულ იქნა №106 ელემენტის ერთ-ერთი იზოტოპი (შესაძლოა M-259). ამის შესახებ გამოაქვეყნდა ცნობა ბირთვული კვლევების გაერთიანებული ინსტიტუტის (ქ. დუბნა) ბირთვული რეაქციების ლაბორატორიის შრომაში (პრეპრინტი—D7-8099),

## 2. ძიშიური ელემენტების გავრცელება ზუნებაში

ცხრილში ნაჩვენებია ელემენტების გავრცელება გამოსახულია წონითი პროცენტობით. მონაცემების ნაკლებობის გამო ცხრილში არ არის შეტანილი ზოგიერთი ლანთანიდი (N59—72), მით უმეტეს, რომ, არსებული ცნობებით, დედამიწის ქერქში ისინი ლანთანის ანალოგიურადაა გავრცელებული. ცხრილში არ არის აგრეთვე არასტაბილური, მცირე ნახევრად დაშლის პერიოდის მქონე ელემენტები (N43, 84—89, 91 და 93—104).

რადგან ბუნებაში ელემენტების გავრცელების რეალური სურათი მეტად რთული და მრავალფეროვანია, ამიტომ ცხრილის მონაცემები საორიენტაციოდ უნდა ჩავთვალოთ.

იხ: ა. ს ა უ კ ვ ი, გეოქიმია, „ტექნიკა და შრომა“, თბილისი, 1954; В е р н а д с к и й В. И., Избранные сочинения, т. 4, АН СССР, 1960; В и н о г р а д о в А. П., Геохимия редких и рассеянных химических элементов в почвах, АН СССР, 1957; А л е к и н О. А., Химия океана, Гидрометиздат, 1966; В о и н а р А. О., Биологическая роль микроэлементов в организме животных и человека, «Советская наука», 1953; А л л е р Л., Распространенность химических элементов, изд-во ИЛ, 1963; Ч е р е д ы н ц е в В. В., Распространенность химических элементов, Госиздат техн. литературы, 1956; В о й т к е в и ч Г. В., М и р о ш н и к о в А. Е. и др., Краткий справочник по геохимии, «Недра», 1970.



როგოთი №	ელემენტი	წონითი პრცენტები										მეტწარები და სპოელები
		ლუდამფის ქეოქი		მეტეოროტი		ნიადაგები	ოკეანე	მტკნალი წყლები	ატმოსფერო	?	10	
		კეოსი	რკინის	კეოსი	რკინის							
1	H	0,15	—	—	—	—	10,72	10,8	—	8,10-3	10,0	
2	He	1,10-4	—	—	—	—	5,10-10	3,4,10-8	—	6,4,10-5	—	
3	Li	6,5,10-3	—	—	—	—	2,10-5	10-7-10-6	—	—	1,10-5	
4	Be	6,10-4	—	—	—	—	6,10-11	10-8-10-7	—	—	—	
5	B	3,10-4	—	—	—	—	4,6,10-4	10-8-10-5	—	—	2,10-3	
6	C	0,1	0,11	0,11	0,11	2,0	2,8,10-3	2,10-3	1,2,10-2	1,2,10-2	2,5-21,8	
7	N	1,10-2	—	—	—	0,1	—	2-8,10-3	75,5	75,5	0,1-3,0	
8	O	47,2	41,02	41,02	—	49	85,9	85,82	23,15	23,15	60-65	
9	F	2,7,10-2	4,10-3	—	—	0,02	1,3,10-4	3,10-5	—	—	0,3-4,10-3	
10	Ne	5,10-7	—	—	—	—	1,10-8	—	1,4,10-3	—	—	
11	Na	2,64	0,78	—	—	0,63	1,05	10-3-10-2	—	—	0,02-0,15	
12	Mg	2,10	15,8	—	3,2,10-2	0,6	1,35,10-1	10-3-10-2	—	—	0,02-0,31	
13	Al	8,80	1,7	—	4,10-3	7,0	1,10-4	10-6-10-4	—	—	0,2-2,10-3	
14	Si	27,6	20,6	—	4,10-3	33	3,10-4	10-3-10-2	—	—	1,10-3-0,1	
15	P	0,08	0,16	—	0,22	0,08	7,10-6	10-5-10-4	—	—	0,01-1,1	
16	S	0,05	1,79	—	3,6,10-2	0,05	8,85,10-2	10-4-10-3	—	—	0,1-0,25	
17	Cl	4,5,10-2	0,09	—	—	0,01	1,90	10-4-10-2	—	—	0,16-0,3	
18	Ar	4,10-4	—	—	—	—	6,10-5	1,10-4	1,29	—	—	
19	K	2,60	0,20	—	—	1,35	3,8,10-2	10-5-10-3	—	—	0,01-2,05	
20	Ca	3,6	2,0	—	0,05	1,37	4,10-2	10-4-10-2	—	—	1,10-3-2,5	
21	Sc	6,10-4	—	—	—	—	4,10-9	—	—	—	1,10-6	
22	Ti	0,6	9,3,10-2	—	0,01	0,46	1,10-7	10-7-10-6	—	—	1,10-5-1,10-3	
23	V	1,5,10-2	—	—	6,10-4	0,01	5,10-7	10-8-10-7	—	—	5,10-3-1,10-4	
24	Cr	0,02	0,34	—	2,4,10-2	0,02	5,10-9	10-7-10-6	—	—	1,10-4-1,10-3	
25	Mn	0,09	0,30	—	0,03	8,5,10-2	2,10-7	10-7-10-6	—	—	5,10-5-1,10-3	
26	Fe	5,10	15,6	—	90,8	0,42	5,10-6	10-8-10-4	—	—	5,10-3-1,10-3	
27	Co	3,10-1	0,68	—	0,63	1,10-3	5,10-6	10-8-10-7	—	—	2,10-6	
28	Ni	8,10-3	0,14	—	8,6	4,10-3	3,10-8	10-7-10-6	—	—	1,10-4-5,10-5	
29	Cu	0,01	1,6,10-1	—	3,1,10-2	2,10-3	3,10-7	10-7-10-6	—	—	2,10-4-5,10-3	

1	2	3	4	5	6	7	8	9	10
30	Zn	5.10-3	3,4.10-1	1,2.10-2	5.10-3	1.10-8	10 <sup>7</sup> -10 <sup>6</sup>	—	5.10-1-1,5.10-3
31	Ga	1,5.10-3	5.10-5	5.10-3	1.10-1	3.10-9	—	—	1.10-3-1.10-4
32	Gc	7.10-4	1.10-3	1,9.10-2	1.10-4	7.10-9	10 <sup>8</sup>	—	1.10-5-1.10-4
33	As	5.10-1	2.10-3	3,6.10-2	5.10-4	3.10-7	10 <sup>7</sup> -10 <sup>6</sup>	—	5.10 <sup>6</sup> -1.10 <sup>5</sup>
34	Se	6.10-5	1,3.10-3	3.10-4	1.10-8	4.10 <sup>7</sup>	10 <sup>7</sup> -10 <sup>6</sup>	—	1.10 <sup>8</sup>
35	Br	1,6.10-4	2,5.10-3	1.10-1	2.10-4	6,5.10-3	10 <sup>6</sup> -10 <sup>5</sup>	—	4.10 <sup>5</sup> -7.10-1
36	Kr	9.10-8	—	—	—	3.10-8	1.10-9	1,4.10-5	—
37	Rb	0,03	4,5.10-4	—	6.10-3	1,2.10-5	1.10 <sup>7</sup>	—	5.10 <sup>8</sup>
38	Sr	0,04	2,6.10-3	—	3.10-2	1,3.10-3	10 <sup>6</sup> -10 <sup>5</sup>	—	1.10-4
39	Y	2,8.10-3	6,6.10-4	—	—	3.10-8	—	—	1.10-3
40	Zr	0,02	1.10-2	8.10-4	0,02	—	10 <sup>9</sup> -10 <sup>8</sup>	—	1.10-1-3.10-3
41	Nb	1.10-3	5.10-5	2.10-5	3.10-1	1.10-9	—	—	1.10 <sup>6</sup> -2.10-1
42	Mo	3.10-4	2,5.10-4	1,7.10-3	—	1.10 <sup>7</sup>	10 <sup>8</sup> -10 <sup>7</sup>	—	—
44	Ru	5.10-7	—	1,1.10-3	—	—	—	—	—
45	Rh	1.10-7	—	4,1.10-4	—	—	—	—	—
46	Pd	1.10-0	—	3,7.10-4	—	—	—	—	—
47	Ag	1.10-5	—	3,3.10-4	1.10-1	3.10-8	10 <sup>8</sup> -10 <sup>7</sup>	—	1.10-5
48	Cd	5.10-5	1,6.10-4	8.10-4	5.10-5	1,1.10-8	10 <sup>8</sup> -10 <sup>8</sup>	—	1.10 <sup>5</sup> -3,4.10 <sup>5</sup>
49	In	1.10-5	2,4.10-5	1.10-4	—	2.10-0	—	—	—
50	Sn	4.10-3	3.10-4	7,7.10-4	—	3.10-7	10 <sup>8</sup> -10 <sup>7</sup>	—	—
51	Sb	4.10-5	1.10-5	2.10-4	—	5.10-8	10 <sup>8</sup> -10 <sup>7</sup>	—	1.10-1-1.10 <sup>3</sup>
52	Te	1.10-0	—	—	—	—	—	—	—
53	I	-3.10-5	1,3.10-4	6.10-5	5.10-4	6.10-6	10 <sup>7</sup> -10 <sup>6</sup>	—	1.10-1-1.10 <sup>5</sup>
54	Xe	3.10-9	—	—	—	1.10-8	—	5.10 <sup>0</sup>	—
55	Cs	1.10-3	1.10-3	—	5.10-4	5.10-8	10 <sup>6</sup> -10 <sup>7</sup>	—	—
56	Ba	0,05	9.10-1	—	0,05	3.10-6	10 <sup>6</sup> -10 <sup>5</sup>	—	1.10-3
57	La	1,8.10-3	2,2.10-4	—	0,01	3.10 <sup>6</sup>	—	—	—
58	Ce	4,5.10-3	2,5.10-4	—	5.10-3	4.10 <sup>8</sup>	—	—	—
73	Ta	2.10-4	3,8.10-3	6.10-6	—	—	—	—	—
74	W	1.10-4	1,8.10-3	8,1.10-1	—	1.10-8	10 <sup>8</sup> -10 <sup>7</sup>	—	—
75	Re	1.10-7	—	8,5.10-5	—	—	10 <sup>16</sup> -10 <sup>13</sup>	—	—

გ ა ზ რ ი ე ლ ე ბ ა

1	2	3	4	5	6	7	8	9	10
76	Os	5.10 <sup>-6</sup>	—	7,6.10 <sup>-4</sup>	—	—	—	—	—
77	Ir	1.10 <sup>-7</sup>	—	3.10 <sup>-4</sup>	—	—	—	—	—
78	Fl	5.10 <sup>-7</sup>	8,3.10 <sup>-8</sup>	1,9.10 <sup>-3</sup>	—	—	—	—	—
79	Au	5.10 <sup>-7</sup>	—	1,8.10 <sup>-4</sup>	10 <sup>-6</sup>	4.10 <sup>-10</sup>	10 <sup>-13</sup> —10 <sup>-7</sup>	—	1.10 <sup>-5</sup> —1.10 <sup>-6</sup>
80	Hg	7.10 <sup>-8</sup>	1.10 <sup>-6</sup>	—	10 <sup>-6</sup>	3.10 <sup>-9</sup>	10 <sup>-9</sup> —10 <sup>-8</sup>	—	1.10 <sup>-7</sup> —1.10 <sup>-8</sup>
81	Tl	3.10 <sup>-4</sup>	1,5.10 <sup>-5</sup>	—	—	1.10 <sup>-8</sup>	—	—	—
82	Pb	1,6.10 <sup>-3</sup>	2.10 <sup>-4</sup>	5.10 <sup>-6</sup>	1,2.10 <sup>-8</sup>	4.10 <sup>-7</sup>	10 <sup>-7</sup> —10 <sup>-6</sup>	—	1.10 <sup>-6</sup>
83	Bi	2.10 <sup>-5</sup>	—	5.10 <sup>-8</sup>	1.10 <sup>-8</sup>	2.10 <sup>-8</sup>	10 <sup>-9</sup> —10 <sup>-8</sup>	—	—
90	Th	8.10 <sup>-4</sup>	2.10 <sup>-4</sup>	4.10 <sup>-6</sup>	6.10 <sup>-4</sup>	7.10 <sup>-8</sup>	10 <sup>-10</sup> —10 <sup>-7</sup>	—	1.10 <sup>-5</sup> —5.10 <sup>-4</sup>
92	U	3.10 <sup>-4</sup>	1.10 <sup>-5</sup>	7.10 <sup>-7</sup>	2.10 <sup>-4</sup>	3.10 <sup>-7</sup>	10 <sup>-9</sup> —10 <sup>-6</sup>	—	1.10 <sup>-8</sup> —1.10 <sup>-4</sup>

ა. ელემენტების ატომური მასები (ატომური წონები)

ქიმიური ელემენტის ატომის მასის საშუალო მნიშვნელობა, რომელიც ფარდობითი ერთეულებითაა გამოსახული, ატომური მასა ეწოდება. ატომური მასა ქიმიური ელემენტის ერთ-ერთი ძირითადი მახასიათებელი სიდიდეა. ქიმიაში ატომურ მასას გამოსახავენ  $\chi$  ანუ  $\chi$  (2667:1:5,5 პროპორციის შემცველობის  $O^{16}$ ,  $O^{17}$ , და  $O^{18}$  იზოტოპების ნარევის, ე. ი. ბუნებრივი, ჰაერის ანუ ატომის მასის საშუალო მნიშვნელობის  $1/16$  ნაწილის ტოლი ერთეულით (ქიმიური სკალა). ფიზიკაში ატომური მასის ერთეულად მიღებული იყო ანუ ატომის  $O^{16}$  იზოტოპის ატომის მასის  $1/16$  ნაწილი (ფიზიკური სკალა). ჩვეულებრივ, ქიმიურ ლიტერატურაში ატომური მასა ქიმიური სკალით იყო წარმოდგენილი. ფიზიკური სკალის ერთეული 1,000275-ჯერ მცირეა ქიმიური სკალის ერთეულზე; ამიტომ ფიზიკური სკალით მოცემული ატომური მასა 0,0275%-ით აღემატება ქიმიური სკალით მოცემულ ატომურ მასებს. 1960 წელს ქ. ოტავაში გამართულ წმინდა და გამოყენებითი ფიზიკის სპეციალისტების საერთაშორისო კავშირის კონფერენციაზე წარმოადგინეს ატომური მასების უნიფიცირებული სკალა. ახალი სკალა მიიღო იმავე წელს ქ. მონრეალში ჩატარებულმა წმინდა და გამოყენებითი ქიმიის სპეციალისტების საერთაშორისო კავშირის კონფერენციამ. ამრიგად, აღრე არსებული ორი — ფიზიკური და ქიმიური — სკალის ნაცვლად შემოიღეს ერთი სკალა. ფარდობითი ატომური მასების ახალ, უნიფიცირებულ სკალას საფუძვლად უძევს ნახშირბადის ერთ-ერთი იზოტოპის —  $C^{12}$ -ის ატომური მასის (12,00000-ის ტოლი სიდიდის)  $1/12$  ნაწილი. უნიფიცირებული სკალით მოცემული ფარდობითი ატომური მასები  $A_c$  (ე. ი.  $C^{12}$  ატომური მასის  $1/12$  ნაწილის ტოლი ერთეულებით გამოსახული ატომური მასები), 1,000043-ჯერ მცირეა ქიმიური სკალით ( $A_j$ ) განსაზღვრული ატომური მასების მნიშვნელობაზე:  $A_j = A_c \cdot 1,000043$ .

ელემენტის რიგითი ნომერი	სიმბოლო	ელემენტის სახელწოდება	ატომური მასა $C^{12}$ -ის მიხედვით	$\lg A_c$ მანტისა	$A_j$
1	2	3	4	5	6
1	H	წყალბადი	1,00797	00342	1,0080
2	He	ჰელიუმი	4,0026	60235	4,003
3	Li	ლითიუმი	6,939	84130	6,940
4	Be	ბერილიუმი	9,0122	95483	9,013
5	B	ბორი	10,811	03387	10,82
6	C	ნახშირბადი	12,01115	07958	12,011

1	2	3	4	5	6
7	N	აზოტი	14,0067	14634	14,008
8	O	ჟანგბადი	15,9994	20410	16
9	F	ფთორი	18,9984	27871	19,00
10	Ne	ნეონი	20,183	30499	20,183
11	Na	ნატრიუმი	22,9898	36154	22,991
12	Mg	მაგნიუმი	24,312	38582	24,32
13	Al	ალუმინი	26,9815	43106	26,98
14	Si	სილიციუმი	28,086	44849	28,09
15	P	ფოსფორი	30,9738	49098	30,975
16	S	გოგირდი	32,064	50602	32,066
17	Cl	ქლორი	35,453	54967	35,457
18	Ar	არგონი	39,948	60150	39,944
19	K	კალიუმი	39,102	59220	39,100
20	Ca	კალციუმი	40,08	60293	40,08
21	Sc	სკანდიუმი	44,956	65279	44,96
22	Ti	ტიტანი	47,90	68034	47,90
23	V	ვანადიუმი	50,942	70,708	50,95
24	Cr	ქრომი	51,996	71597	52,01
25	Mn	მანგანუმი	54,9381	73987	54,94
26	Fe	რკინა	55,847	74700	55,85
27	Co	კობალტი	58,9332	77036	58,94
28	Ni	ნიკელი	58,71	76871	58,71
29	Cu	სპილენძი	63,54	80305	63,54
30	Zn	თუთია	65,37	81538	65,38
31	Ga	გალიუმი	69,72	84336	69,72
32	Ge	გერმანიუმი	72,59	86088	72,60
33	As	დარიშხანი	74,9216	87461	74,91
34	Se	სელენი	78,96	89741	78,96
35	Br	ბრომი	79,909	90,260	79,916
36	Kr	კრიპტონი	83,80	92324	83,80
37	Pb	რუბიდიუმი	85,47	93181	85,48
38	Sr	სტრონციუმი	87,62	94260	87,63
39	Y	იტრიუმი	88,905	94892	88,92
40	Zr	ცირონიუმი	91,22	96009	91,22
41	Nb	ნიობიუმი	92,906	96804	92,91
42	Mo	მოლიბდენი	95,94	98200	95,95
43	Tc	ტექნეციუმი	97,991	99564	97
44	Ru	რუთენიუმი	101,07	00462	101,1
45	Rh	როდიუმი	102,905	01244	102,91
46	Pd	პალადიუმი	106,4	02694	106,4
47	Ag	ვერცხლი	107,870	03290	107,880
48	Cd	კადმიუმი	112,40	05077	112,41
49	In	ინდიუმი	114,82	06002	114,82
50	Sn	კალა	118,69	07441	118,70
51	Sb	სტიბიუმი	121,75	08547	121,76
52	Te	ტელური	127,60	10585	127,61
53	I	იოდი	126,9044	10347	126,91
54	Xe	ქსენონი	131,30	11826	131,30
55	Cs	ცეზიუმი	132,905	12954	132,91
56	Ba	ბარიუმი	137,34	13780	137,36
57	La	ლანთანი	138,91	14273	138,92
58	Ce	ცერიუმი	140,12	14670	140,13
59	Pr	პრაზეოდიმი	140,907	14893	140,92
60	Nd	ნეოდიმი	144,24	15709	144,27
61	Pm	პრომეთიუმი	147, [145]	16732	147

1	2	3	4	5	6
52	Sm	სამარიუმი	150,35	17711	150,35
53	Eu	ევროპიუმი	151,96	18170	152,0
54	Gd	გადოლინიუმი	157,25	19659	157,26
55	Tb	ტერბიუმი	158,924	20119	158,93
56	Dy	დისპროზიუმი	162,50	21335	162,51
57	Ho	ჰოლმიუმი	164,930	21730	164,94
58	Er	ერბიუმი	167,26	22343	167,27
59	Tu	თულიუმი	168,934	22772	168,54
70	Yb	იტერბიუმი	173,04	23815	173,04
71	Lu	ლუტეციუმი	174,97	24297	174,99
72	Hf	ჰაფნიუმი	178,49	25162	178,50
73	Ta	ტანტალა	180,948	25756	180,95
74	W	ვოლფრამი	183,85	26447	183,86
75	Re	რენიუმი	186,2	26998	186,22
76	Os	ოსმიუმი	190,2	27921	190,2
77	Ir	ირიდიუმი	192,2	28375	192,2
78	Pt	პლათინა	195,09	29024	195,09
79	Au	ოქრო	196,967	29442	197,0
80	Hg	ვერცხლისწყალი	200,59	30231	200,61
81	Tl	თალიუმი	204,37	31021	204,39
82	Pb	ტყვია	207,19	31637	207,21
83	Bi	ბისმუთი	208,980	32011	209,00
84	Po	პოლონიუმი	210 [209]	32222	210
85	At	ასტატინი	210	32222	210
86	Rn	რადონი	222	34635	222
87	Fr	ფრანციუმი	223	34830	223
88	Ra	რადიუმი	226	35411	226
89	Ac	აქტინიუმი	227	35603	227
90	Th	თორიუმი	232,038	36556	232,05
91	Pa	პროტაქტინიუმი	231	36361	231
92	U	ურანი	238,03	37663	238,07
93	Np	ნეპტუნიუმი	237	37475	237
94	Pu	პლუტონიუმი	242 [244]	38382	242
95	Am	ამერიციუმი	243	38561	243
96	Cm	კიურიუმი	247	39270	247
97	Bk	ბერკლიუმი	247	39620	247
98	Cf	კალიფორნიუმი	249 [251]	39967	249
99	Es	ეინსტეინიუმი	254	40483	254
100	Fm	ფერმიუმი	253	40312	253
101	Md	მენდელეევიუმი	256	40824	256

4. ლ. მენდელეევის ელემენტთა პერიოდულულის სისტემა და ელემენტების განაწილება ატომში

1869 წელს დიმიტრი ივანეს ძე მენდელეევიმ აღმოაჩინა ბუნების-მეტყველების ერთ-ერთი ძირითადი კანონი — ქიმიურ ელემენტთა პერიოდულობის კანონი. „XIX ს. ბუნებისმეტყველების ყველაზე დიდ მონაპოვად პერიოდულობის კანონის აღმოჩენა უნდა ჩაითვალოს, ის ბუნების ერთ-ერთი ძირითადი კანონია“ (პანეტი). „მენდელეევის ელემენტთა პერიოდულობის სისტემა არის უსაზღვროდ მოკლე და გამოკვეთილი

ფიზიკურ-ქიმიური ენციკლოპედია“ (ვ. გოლდანსკი). დღეისათვის ეს კანონი შემდეგნაირადაა ჩამოყალიბებული: მარტივ ნივთიერებათა თვისებები, აგრეთვე ქიმიური ელემენტების ნაერთების ფორმები და თვისებები პერიოდულ დამოკიდებულებაშია ატომის ბირთვის მუხტის სიდიდესთან. პერიოდულობის კანონს ემორჩილება მთელი რიგი ფიზიკური თვისებები (ატომთა რადიუსები, ელემენტთა იონიზაციის პოტენციალები; კუთრი წონები, ლობის ტემპერატურები და სხვ.).

პერიოდულობის სისტემის ვერტიკალურ სვეტებს ჯგუფები ეწოდება. I—VIII ჯგუფები იყოფა მთავარ და თანაქვეჯგუფებად. 1—3 ჰორიზონტალური მწკრივები მოიცავს I—III მცირე პერიოდებს, 4—5, 6—7, 8—9 ორ-ორი მწკრივი — დიდ პერიოდს. მე-10 დაუმთავრებელი მწკრივი კი — VII პერიოდს. პერიოდში ელემენტის რიგითი ნომრის ზრდის შესაბამისად სუსტდება ელემენტის ლითონური თვისებები, არალითონური თვისებები კი ძლიერდება. ჯგუფში ლითონების აქტივობა ზემოდან ქვემოთ იზრდება, არალითონებისა კი — მცირდება. მერვე ჯგუფში მოთავსებულია ე. წ. „ინერტული“ აირები. ელემენტის მაქსიმალური ვალენტობა ჟანგბადის მიმართ ჯგუფის ნომრის ზრდის მიხედვით თითო ერთეულით იზრდება (1—8-მდე), წყალბადის მიმართ კი I—IV ჯგუფამდე იზრდება, შემდეგ კი მცირდება. VIII ჯგუფშია მოთავსებული გარდამავალი ჯგუფის ელემენტების ტრიადებიც. №57 უჯრედში მოთავსებულია 14 მსგავსი ელემენტი — ლანთანიდები; ლანთანიდები და აქტინიდები (№90—103) გაშლილი. სახით მოცემულია სისტემის ბოლოს. 1966 წელს საბჭოთა კავშირში წარმატებით დასრულდა №104 ელემენტის — კურჩატოვიუმის სინთეზი. ეს პირველი მძიმე, ხელოვნური, სინთეზირებული ელემენტია. რომელიც არ შედის აქტინიდების ოჯახში და დასაბამს აძლევს ახალ, მეორე თხუთმეტწევრიან ელემენტთა ოჯახს.

პერიოდულობის სისტემაში ელემენტები განლაგებულია ატომის ბირთვის მუხტის სიდიდის ზრდის მიხედვით. ელემენტის რიგითი ნომერი პერიოდულობის სისტემაში ემთხვევა მისი ატომის ბირთვის დადებით მუხტს და ელემენტის დამახასიათებელი ნიშანია. ატომის ბირთვის დადებითი მუხტის სიდიდე განპირობებულია მასში პროტონების რაოდენობით და რიცხობრივად ემთხვევა ბირთვის ირგვლივ მბრუნავი ელექტრონების რიცხვს. ელემენტების პერიოდულად ცვლადი თვისებები ძირითადად დამოკიდებულია ატომის გარე (სავალენტო) ელექტრონების რაოდენობაზე და იმ შრის აღნაგობაზე, რომელსაც იგი წარმოქმნის. თუ სხვადასხვა ელემენტს ტოლი რაოდენობის გარე ელექტრონები აქვს, მაშინ მათ შორის განსხვავება გარესწინა შრეების აღნაგობითაა განპირობებული.

ატომის ელექტრონული შრის აღნაგობის გადმოცემა შეიძლება მთავარი (n), თანაური (l), მენტიური (m) და სპინური (s) კვანტური რიცხვების

საშუალებით; ატომის ბირთვის ირგვლივ მოძრავი ელექტრონის მდგომარეობა ენერგეტიკული თვალსაზრისით ძირითადად  $n$ -მთავარი კვანტური რიცხვით ხასიათდება. ვარკვეული, თუმცა არაძირითადი მნიშვნელობა აქვს  $l$ -თანაურ კვანტურ რიცხვსაც.  $n$  ლებულობს  $1, 2, 3, 4, \dots$ , ხოლო  $l$ -თანმიმდევრობით ყველა  $0, 1, 2, \dots, (n-1)$  მნიშვნელობას.  $n$ -ის მნიშვნელობებს შესაბამისად  $K, L, M, N, Q, \dots$ , ხოლო  $l$ -ის მნიშვნელობებს —  $s, p, d, f, \dots$  სიმბოლოებით აღნიშნავენ.  $K$ -შრეზე ეტევა 2 ელექტრონი,  $L$ -ზე — 8 და, საერთოდ,  $2n^2$  (სადაც  $n$  შრის ნომერია),  $s$ -ქვედონეზე — 2,  $p$ -ზე — 6,  $d$ -ზე — 10,  $f$ -ზე — 14.

მაგალითად, აზოტის რიგითი ნომერია 7. მისი ატომი შედგება შვიდი პროტონის (და ვარკვეული რაოდენობა ნეიტრონების) მქონე ბირთვისა და მის ირგვლივ მბრუნავი 7 ელექტრონისაგან. აზოტის ატომის ელექტრული ვარსის აღნაგობა ასეთია:  $n=1$  დონეზე ეტევა მხოლოდ  $2n^2 = 2 \cdot 1^2 = 2$  ელექტრონი; როდესაც  $n=1$ , მაშინ  $l=0$  ( $s$ -მდგომარეობა), ამიტომ ეს ორი ელექტრონი იქნება  $s^2$  მდგომარეობაში ( $s$ -ის მაჩვენებელი 2 მიუთითებს ქვედონეში ელექტრონების რაოდენობაზე). დანარჩენი 5 ელექტრონი განლაგებულია  $n=2$  დონეზე. როცა  $n=2$ , მაშინ  $l=0$ ;  $l=1$ ;  $l=2$  (შესაბამისად გვექნება  $s$  და  $p$  მდგომარეობა), მაშასადამე, ელექტრონები იქნება  $2s^2 2p^3$  მდგომარეობაში. ამრიგად, აზოტი დახასიათდება  $1s^2 2s^2 2p^3$  მდგომარეობის ელექტრონებით. ასეთა ჩაწერის დროს პირველად იწერება  $n$ , შემდეგ კი მისი შესაბამისი  $l$ -ების ყველა მნიშვნელობა-მდგომარეობა. შემდეგ მხედველობაში იღებენ  $l$ -ის თითოეული მდგომარეობის ტევადობას და ელექტრონებს თანმიმდევრობით ანაწილებენ ამ მდგომარეობაში. თუ  $n$ -ის რამდენიმე მნიშვნელობა გვაქვს, თითოეული მათგანისათვის ცალ-ცალკე ვახდენთ ყველა შესაბამისი  $l$ -ის შევსებას.

ელექტრული შრეების შესწავლა განხილული თვალსაზრისით გვიჩვენებს, რომ ვარდამავალი ჯგუფის ელემენტებს შორის, აგრეთვე ლანთანიდებისა და აქტინიდების ჯგუფების ელემენტებს შორის მსგავსება გამოწვეულია ერთნაირი ვარე ელექტრონული შრით ( $4s^2, 5s^1, 6s^2$  — ვარდამავალი ელემენტების ტრიალებისათვის,  $6s^2$  — ლანთანიდებისათვის და  $7s^2$  — აქტინიდებისათვის), ხოლო განსხვავება გამოწვეულია ბოლოსწინა შრეების შევსების მრავალფეროვნებით.

იხ. 1. ი ს ტ ე პ ა ნ ო ვ ი, დიადი კანონის ისტორია, თბილისი, 1951; 2. ვ. კ ო კ ო ჩ ა შ ვ ი ლ ი, ნ. ფ ი რ ც ხ ა ლ ა ვ ა, არაორგანული ქიმიის კურსი, თბილისი, 1966; ვ. ვ. კ ო კ ო ჩ ა შ ვ ი ლ ი, მენდელეევის პერიოდული სისტემა, თბილისი, 1954; 4. К у н е р Д., Периодический закон, изд-во ИЛ, М., 1965; 5. Г о л ь д а н с к и й В. И., Новые элементы в периодической системе Д. И. Менделеева, изд-во АН СССР, М., 1964; 6. С п и ц ы н



В. И., Современное состояние периодического закона Д. И. Менделеева, изд-во АН СССР, М., 1959; 7. Соединения благородных газов, Сб. статей, Атомиздат, М., 1965; 8. Фаустовский В. Т., Ровинский А. Е., Инертные газы, М., 1964; 9. Хайд Э., Перлман И., Сиборг Г Трансурановые элементы, Атомиздат, М., 1967; 10. Губкина Н. И., Соколов С. В., Успехи химии, т. XXXV, 1966, № 12, стр. 2236; 11. Фигуровский Н. А., Открытие элементов и происхождение их названий, «Наука», М., 1970; 12. Вольфович С. И., Семишин В. И., Менделеев Д. И., Гордость отечественной науки, «Знание», М., 1969; 13. Семишин В. И., Периодическая система химических элементов Д. И. Менделеева, «Химия», М., 1972; 14. 100 лет периодического закона химических элементов (1869 — 1969), «Наука», М., 1971.

ელექტრონების განაწილება ატომებში

რიგითი ნომერი	ელემენტის სიმბოლო	K			L			M			N				O				P			Q		
		1s	2s		2p	3s	3p		3d	4s	4p	4d		4f	5s	5p		5d	5f	6s	6p		6d	7s
		1	2	2	2	3	3	3	1	3	3	5	7	1	2	2	2	2	1	2	2	2	1	
1	H	1																						
2	He	2																						
3	Li	2	1																					
4	Be	2	2																					
5	B	2	2	1																				
6	C	2	2	2																				
7	N	2	2	3																				
8	O	2	2	4																				
9	F	2	2	5																				
10	Ne	2	2	6																				
11	Na	2	2	6	1																			
12	Mg	2	2	6	2	2																		
13	Al	2	2	6	2	2	1																	
14	Si	2	2	6	2	2	2																	
15	P	2	2	6	2	3	3																	
16	S	2	2	6	2	4	4																	
17	Cl	2	2	6	2	5	5																	
18	Ar	2	2	6	2	6	6																	
19	K	2	2	6	2	6	6	1																
20	Ca	2	2	6	2	6	6	2																
21	Sc	2	2	6	2	6	6	1	2															
22	Ti	2	2	6	2	6	6	2	2															
23	V	2	2	6	2	6	6	3	2															
24	Cr	2	2	6	2	6	6	5	1															
25	Mn	2	2	6	2	6	6	5	2															
26	Fe	2	2	6	2	6	6	6	2															

1	2	3	4	5	6	7	8	9	10	11	12	13	14	15	16	17	18	19	20
27	Co	2	2	6	2	6	7	2											
28	Ni	2	2	6	2	6	8	2											
29	Cu	2	2	6	2	6	10	2											
30	Zn	2	2	6	2	6	10	1											
31	Ga	2	2	6	2	6	10	2	1										
32	Ge	2	2	6	2	6	10	2	2										
33	As	2	2	6	2	6	10	2	3										
34	Se	2	2	6	2	6	10	2	4										
35	Br	2	2	6	2	6	10	2	5										
36	Kr	2	2	6	2	6	10	2	6										
37	Rb	2	2	6	2	6	10	2	6										
38	Sr	2	2	6	2	6	10	2	6	..	..	1							
39	Y	2	2	6	2	6	10	2	6	..	..	2							
40	Zr	2	2	6	2	6	10	2	6	1	..	2							
41	Nb	2	2	6	2	6	10	2	6	2	..	2							
42	Mo	2	2	6	2	6	10	2	6	4	..	1							
43	Tc	2	2	6	2	6	10	2	6	5	..	1							
44	Ru	2	2	6	2	6	10	2	6	6	..	1							
45	Rh	2	2	6	2	6	10	2	6	7	..	1							
46	Pd	2	2	6	2	6	10	2	6	8	..	1							
47	Ag	2	2	6	2	6	10	2	6	10	..	0							
48	Cd	2	2	6	2	6	10	2	6	10	..	1							
49	In	2	2	6	2	6	10	2	6	10	..	2	1						
50	Sn	2	2	6	2	6	10	2	6	10	..	2	2						
51	Sb	2	2	6	2	6	10	2	6	10	..	2	3						
52	Te	2	2	6	2	6	10	2	6	10	..	2	4						
53	I	2	2	6	2	6	10	2	6	10	..	2	5						
54	Xe	2	2	6	2	6	10	2	6	10	..	2	6						
55	Cs	2	2	6	2	6	10	2	6	10	..	2	6	..	..	1			
56	Ba	2	2	6	2	6	10	2	6	10	..	2	6	..	..	2			
57	La	2	2	6	2	6	10	2	6	10	..	2	6	1	..	2			
58	Ce	2	2	6	2	6	10	2	6	10	2	2	6	..	..	2			
59	Pr	2	2	6	2	6	10	2	6	10	3	2	6	..	..	2			
60	Nd	2	2	6	2	6	10	2	6	10	4	2	6	..	..	2			
61	Pm	2	2	6	2	6	10	2	6	10	5	2	6	..	..	2			
62	Sm	2	2	6	2	6	10	2	6	10	6	2	6	..	..	2			
63	Eu	2	2	6	2	6	10	2	6	10	7	2	6	..	..	2			
64	Gd	2	2	6	2	6	10	2	6	10	7	2	6	1	..	2			
65	Tb	2	2	6	2	6	10	2	6	10	8	2	6	1	..	2			
66	Dy	2	2	6	2	6	10	2	6	10	10	2	6	..	..	2			
67	Ho	2	2	6	2	6	10	2	6	10	11	2	6	..	..	2			
68	Er	2	2	6	2	6	10	2	6	10	12	2	6	..	..	2			
69	Tu	2	2	6	2	6	10	2	6	10	13	2	6	..	..	2			
70	Yb	2	2	6	2	6	10	2	6	10	14	2	6	..	..	2			
71	Lu	2	2	6	2	6	10	2	6	10	14	2	6	1	..	2			
72	Hf	2	2	6	2	6	10	2	6	10	14	2	6	2	..	2			
73	Ta	2	2	6	2	6	10	2	6	10	14	2	6	3	..	2			
74	W	2	2	6	2	6	10	2	6	10	14	2	6	4	..	2			
75	Re	2	2	6	2	6	10	2	6	10	14	2	6	5	..	2			
76	Os	2	2	6	2	6	10	2	6	10	14	2	6	6	..	2			
77	Ir	2	2	6	2	6	10	2	6	10	14	2	6	7	..	2			
78	Pt	2	2	6	2	6	10	2	6	10	14	2	6	9	..	2			
79	Au	2	2	6	2	6	10	2	6	10	14	2	6	10	..	1			
80	Hg	2	2	6	2	6	10	2	6	10	14	2	6	10	..	2			

1	2	3	4	5	6	7	8	9	10	11	12	13	14	15	16	17	18	19	20
81	Tl	2	2	6	2	6	10	2	6	10	14	2	6	10	..	2	1		
82	Pb	2	2	6	2	6	10	2	6	10	14	2	6	10	..	2	2		
83	Bi	2	2	6	2	6	10	2	6	10	14	2	6	10	..	2	3		
84	Po	2	2	6	2	6	10	2	6	10	14	2	6	10	..	2	4		
85	At	2	2	6	2	6	10	2	6	10	14	2	6	10	..	2	5		
86	Rn	2	2	6	2	6	10	2	6	10	14	2	6	10	..	2	6		
87	Fr	2	2	6	2	6	10	2	6	10	14	2	6	10	..	2	6		1
88	Ra	2	2	6	2	6	10	2	6	10	14	2	6	10	..	2	6	..	2
89	Ac	2	2	6	2	6	10	2	6	10	14	2	6	10	..	2	6	1	2
90	Th	2	2	6	2	6	10	2	6	10	14	2	6	10	..	2	6	2	2
91	Pa	2	2	6	2	6	10	2	6	10	14	2	6	10	2	2	6	1	2
92	U	2	2	6	2	6	10	2	6	10	14	2	6	10	3	2	6	1	2
93	Np	2	2	6	2	6	10	2	6	10	14	2	6	10	4	2	6	1	2
94	Pu	2	2	6	2	6	10	2	6	10	14	2	6	10	6	2	6	..	2
95	Am	2	2	6	2	6	10	2	6	10	14	2	6	10	7	2	6	..	2
